



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 29 აგვისტო

დისციპლინური საქმე №136/22
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2022 წლის 2 აგვისტოს №136 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 4 აგვისტოს №452/136-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ:

1. მოსამართლემ არ მიიღო მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები;
2. სასამართლომ დაავალა დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა, რაც არ იყო საჭირო;
3. მოსამართლეს სურს, რომ არ დაკმაყოფილდეს სააპელაციო საჩივარი, რათა იძულებული გახდეს საჩივრის ავტორი, რომ სასამართლოს მიმართოს საკასაციო საჩივრით და გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. --- 2019 წლის 8 იანვარს სარჩელით მიმართა --- საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების --- და --- მიმართ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

2019 წლის 27 თებერვალს სასამართლომ მიიღო განჩინება შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი საუბნო სამსახურისთვის მოპასუხე --- -- სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარების დავალების შესახებ.

2019 წლის 17 მაისს სასამართლომ მიიღო განჩინება მოპასუხე --- -- სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების საჯარო შეტყობინების გზით გავრცელების შესახებ.

2019 წლის 1 ნოემბერს --- შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

სასამართლო სხდომები გაიმართა 2019 წლის 17 ოქტომბერს, 1 ნოემბერს, 26 ნოემბერს, 2020 წლის 13 თებერვალს, 9 ივლისს, 30 ივლისს, ასევე, 2021 წლის 6 აპრილს, 16 აპრილს, 8 ივნისს და 10 ივნისს.

2021 წლის 10 ივნისს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

2.2. 2021 წლის 22 ივლისს -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

2021 წლის 6 აგვისტოს სასამართლომ მიიღო განჩინება სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ. კერძოდ, აპელანტს დაევალა განჩინების ასლის გადაცემიდან 14 დღის ვადაში -- სააპელაციო სასამართლოში წარედგინა: სააპელაციო საჩივარი, რომელშიც მითითებული იქნება იმის თაობაზე, თუ რაში მდგომარეობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი ან/და სამართლებრივი უსწორობა; გარემოებები, რომელზეც აპელანტი ამყარებს თავის მოთხოვნას და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მათ. ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება. 2021 წლის 11 ოქტომბერს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დოკუმენტები წარადგინა.

2021 წლის 21 ოქტომბერს სასამართლომ მიიღო განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. 2021 წლის 3 ნოემბერს -- -- სააპელაციო შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

საქმეზე სასამართლო სხდომა დანიშნულია 2022 წლის 24 აგვისტოს.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი

განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. ამავე კოდექსის, 368-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს: მითითებას, თუ რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების უსწორობა და კონკრეტულად რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი; მითითებას გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს. მითითებული მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, კი თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოაღნიშნულ მუხლში განსაზღვრულ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

საჩივრის ავტორის განცხადებით სასამართლომ დაავალა დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა, რაც საჭიროებას არ წარმოადგენდა. საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ სააპელაციო სასამართლომ შეამოწმა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და იმის გათვალისწინებით, რომ იგი არ აკმაყოფილებდა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მიიღო განჩინება სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ და აპელანტს განუსაზღვრა ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. ამდენად, განჩინების მიღებისას მოსამართლემ იხელმძღვანელა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამასთან, საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლემ არ მიიღო მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. ამდენად, მოცემულ საკითხზე მსჯელობა მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც დისციპლინური სამართალწარმოების დროს მსჯელობის საგანი ვერ გახდება.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის განცხადებას იმის შესახებ, რომ მოსამართლეს სურს რომ არ დაკმაყოფილდეს სააპელაციო საჩივარი, რათა იძულებული გახადოს იგი სასამართლოს მიმართოს საკასაციო საჩივრით და გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება არ წარმოადგენს მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საკმარის საფუძველს და

მხარის მოთხოვნა არ არის გამყარებული კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით, რომლებიც მოსამართლის შესაძლო მიკერძოების ფაქტზე მიუთითებდნენ.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

შეწყდეს -- -- 2022 წლის 2 აგვისტოს №136 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ არსებული დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი